სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ანგარიში (2019წ.)

”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ანგარიშის (2019წ.):

- სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში“ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების/წერილების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 63 ერთეული. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ მოუმართავთ;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული 61 განცხადება/წერილი სრულად დაკმაყოფილდა. ერთ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას შეიცავდა, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის („საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“), თანახმად და მოთხოვნილი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულების მხარის უარის საფუძველზე, განმცხადებელს დოკუმენტის მიწოდებაზე უარი ეთქვა, ხოლო მეორე შემთხვევაში მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. აღნიშნული გადაწყვეტილებები, განმცხადებლების მხრიდან, არ გასაჩივრებულა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებენ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები - ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ დოლიძე და ამავე დეპარტამენტის იურისტი ციალა ჭედია;
- სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ პერსონალური მონაცემები დაცულია ფონდის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში, სპეციალურად გამოყოფილ, უსაფრთხო ადგილას. პერსონალური მონაცემების სხვა პირზე გაცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ინფორმაციის დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში შენახვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მიმდინარე წელს კერძო სამართლის სუბიექტმა წერილით მომართა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. განმცხადებელს პასუხი ეცნობა საქართველოს კანონმდებლობით დადენილ ვადებში და გაეგზავნა მოთხოვნილი, იმ მომენტისთვის არსებული/შექმნილი, ფონდში დაცული საჯარო დოკუმენტაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, კერძო სამართლის სუბიექტმა მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემის თაობაზე.
- სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ თანამშრომელთა მხრიდან ”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებიათ.